



თამაში: სკოჩის ქამარი

თამაშის ტიპი: ენერჯიული, სახალისო, (ე.წ. **Icebreaker**)

მონაწილეები: **6-**დან **60** მდე მონაწილე

თამაშის ხანგრძლივობა: **15** წუთი.

ძირითადი მიმართულებები: ურთიერთ დამეგობრება, გუნდური სახალისო თამაში, კომუნიკაციისა და ლიდერშიპის განვითარება.



საჭირო ინვენტარი და აქსესუარები: თამაშის ჩასატარებლად საჭიროა სწოტი ზედაპირის მქონე 15 - 20 მეტრის სიგრძის მოედანი, სადაც მონაწილეთა ორ გუნდს საშუალება ექნებათ იმოდროს სტარტიდან ფინიშამდე. თითო რულონი სკოჩი თითო გუნდისთვის, სტარტისა და ფინიშის მონიშვნა (ფერადი სკოჩით), მაკრატელი, ტაიმერი და სასტვენნი.

თამაშის აღწერა და წესები: ექვსი მონაწილესგან დაკომპლექტებულ გუნდების მონაწილეებს შეკრავენ სკოჩით ისე როგორც სურათზეა ნაჩვენები. მათ მიეცემათ საშუალება რამდენჯერმე სცადონ სტარტიდან ფინიშამდე და უკან სწრაფად მოძრაობა. დაინიშნება დრო. გამრავლებულია გუნდი რომელიც დისტანციას დაფარავს უმოკლეს დროში.

თამაში შემდეგნაირად უნდა ჩატარდეს:

1. გააცანით მონაწილეებს თამაშის წესები;
2. აუხსენით მონაწილეებს რომ წარმატებისათვის აუცილებელია მათი მოძრაობა იყოს შეთანხმებული, სინქრონული და შეეცადონ იმოდროს ისე თითქოს გუნდი არის ერთი მთლიანი ორგანიზმი. უთხარით მათ ასევე რომ, საჭიროა ფინიშიდან სტარტამდე მისვლა და უკან დაბრუნება მოხდეს უმოკლეს ვადაში.
3. დააყენეთ პირველი ორი მონაწილე გუნდები და შეკარით ისინ სკოჩით ქამრის სიმაღლეზე ფრთხილად, ისე რომ, მონაწილეებს ძალიან არ მოუჭიროთ მაგრამ ადვილად რომ არ მოძვრეთ. ამისათვის სკოჩი გუნდს შემოატარეთ რამდენჯერმე.
4. მიეცით მათ 5 წუთი დრო რომ მოსინჯონ ძლები და დასახონ სტრატეგია თუ როგორ იმოდროს.
5. დააყენეთ გუნდები სტარტის ხაზთან, დაინიშნეთ დრო და მიეცით სტარტის სიგნალი;
6. პირველი რაუნდის შემდეგ, მიეცით გუნდებს დრო ისაუბრონ ერთმანეთში, დააფიქსირონ და გამოასწორონ შეცდომები და სცადონ შეჯიბრება მეორედ.
7. მიეცით მათ საშუალება გაიმეორონ შეჯიბრება რამდენჯერმე.